

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების  
სატენდერო კომისიის

ოქმი #1

ქ.ბათუმი

2021 წლის 17 მაისი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

**ნატო შერვაშიძე** - ა(ა)იპ “ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანები”-ს დირექტორი(კომისიის თავმჯდომარე);

**ბადრი ირემაძე**- ა(ა)იპ “ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანები”-ს დირექტორის დარგში (კომისიის წევრი);

**ხათუნა აბულაძე** - ა(ა)იპ “ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანები”-ს სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (კომისიის წევრი);

**ფატმან აბესაძე**- ა(ა)იპ “ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანები”-ს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (კომისიის წევრი);

**ლეილა ღოღობერიძე** - ა(ა)იპ “ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანები”-ს სპეციალისტი კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებში (კომისიის წევრი);

**კომისიის აპარატის წევრი:** გელა ფუტყარაძე - არასამეწარმეო ( არაკომერციული ) იურიდიული პირის - ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სპეციალისტი შესყიდვების საკითხში , კომისიის აპარატის წევრი ;

**დღის წესრიგი:** -ა(ა)იპ „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ არსებული საბავშვო ბაღების საჭიროებისთვის გათხევადებული აირის (პროპანის) შეძენა. CPV 09100000; 09122110 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა - დამტკიცება.

**მოისმინეს:** კომისიის აპარატის წევრის გ. ფუტყარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში საბავშვო ბაღების მოთხოვნის შესაბამისად საჭიროა გათხევადებული აირის (პროპანის) შესყიდვა. „ ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების თანახმად შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშეს საშუალებით.

**განიხილეს:**

კომისიის წევრებმა განიხილეს სისტემაში განთავსებული განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც ელ. სისტემაში განთავსებული განცხადება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ტენდერის გამოცხადების თარიღი: 05.17.2021
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 5005 ლარი
- შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
- შესყიდვის დანაყოფი: 09100000; 09122110
- მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 30 ნოემბრამდე
- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: 35 ლარი
- სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა:



ა) ფასების ცხრილი, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული ( ბეჭდის არსებობის შემთხვევაში );

ბ) მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის წყაროსა და მწარმოებლის შესახებ ინფორმაცია;

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების 3 წლიანი გამოცდილება, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები ან/და მიღება-ჩაბარების აქტები.

დ) 1. პრეტენდენტს აჭარის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეს გამართული გამგასამართი სადგური (საკუთრების ან/და სარგებლობის უფლებით), საიდანაც ის მოახდენს თხევადი გაზის განაწილებას მინოდების ადგილებამდე. აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს სათანადო დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს წინამდებარე ტენდერის გამოცხადების თარიღის შემდგომ, იჭარის ხელშეკრულება სათანადოდ დამოწმებული და რეგისტრირებული და ა.შ.).. აგრეთვე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტები-ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების და ა. შ. თანდართვით;

2. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ავარიული სამსახური, კვალიფიცირებული(სერტიფიცირებული) პერსონალით, რომელიც გაზის მომარაგებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში გაუწევს სათანადო მომსახურებას საბავშვო ბაღს გამომახებიდან 2(ორი) საათის განმავლობაში;

3. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა გაზის ბალონების რეცხვის, რომელიც უნდა განახორციელოს მოთხოვნასთან შესაბამისად.

4. პრეტენდენტის სატრანსპორტო საშუალებას, რომლითაც ახორციელებს თხევადი აირის მიწოდებას, გავლილი უნდა ჰქონდეს „პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება“. აღნიშნულთან მიმართებაში, პრეტენდენტს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს „პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში“ შესაბამისი დოკუმენტის ასლით.

ე) პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს გამოცდილი და კვალიფიცირებული ტექპერსონალი (დადასტურებული დიპლომების, სერტიფიკატების ან/და სხვა სახით.)

ვ) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის მოთხოვნა;

თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20% -ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, კერძოდ: შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება ან ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები,(ინვოისი) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტები (ექსპერტიზის დასკვა ან/და სხვა) რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნული დასაბუთების წარმოდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.



**კომისიამ გადაწყვიტა:**

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების შესაბამისად შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელ.ტენდერის აუქციონის გარეშეს საშუალებით.
2. გათხევადებული აირის (პროპანის) შესყიდვაზე (კოდი 09100000; 09122110) განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშეს შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 5005 ლარი.
3. დამტკიცდეს გათხევადებული აირის (პროპანის) შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს განათავსოს სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე :




ნ. შერვაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე :



ბ. ირმაძე

კომისიის წევრები:



ლ. ლოლობერიძე



ნ. აბულაძე



ვ. აბესაძე

კომისიის აპარატის წევრი:



გ. ფუტყარაძე